საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წელი

2022 წელს საქართველოში საქონლით **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** 19 042.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32.8%-ით მეტია. **ექსპორტი** გაიზარდა 31.8%-ით და 5 592.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო **იმპორტი** გაიზარდა 33.2%-ით და 13 450.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს **უარყოფითი სავაჭრო ბალანსი** 2022 წელს, 7 857.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.3 პროცენტია.

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.4% გაიზარდა, 3 704.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიანი ექსპორტის 66.2% შეადგინა. აღნიშნული ზრდა განხორციელდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 1 024 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26%)
- აზოტოვანი სასუქები - 281 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 135%)
- ღვინო - 252 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%)
- ელექტროენერგია - 84.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 437%)
- ძვირფასი ლითონის მადნები - 84.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 92%)
- ოქრო - 81.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27%)
- ტკბილი გაზიანი სასმელები - 82.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 43%)
- ტრიკოტაჟის ნაწარმი - 74.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18%)
- ხილი - 36.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13%)
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 58 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 75%)

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები რე - ექსპორტში

რე-ექსპორტი 69%-ით გაიზარდა, 1 886 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 34% დაიკავა. ზრდა ძირითადად განხორციელდა შემდეგი პოზიციების ხარჯზე:

- მსუბუქი ავტომობილები - 904 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 98%)
- სამკურნალო საშუალებები - 88.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9%)
- სატვირთო ავტომობილები - 33 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 66%)
- ნავთობპროდუქტები - 51.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4 -ჯერ)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 30.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%)

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2017-2022 წლის მდგომარეობით

მილიონი აშშ დოლარი	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	10,803	12,742	13 318	11 398	14 342	19 042.9
ზრდა%	14%	18%	5%	-14%	26%	33%
ექსპორტი	2,746	3,380	3 798	3 344	4 242	5 592.8
ზრდა%	30%	23%	12%	-12%	27%	32%
იმპორტი	8,057	9,362	9 519	8 053	10 099	13 450.1
ზრდა%	10%	16%	2%	-15%	25%	33%
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 311.4	-5 982.1	-5 720.8	-4 709	-5 857	-7 857.2
ზრდა%	2%	13%	-4%	-18%	24%	34%
ადგილობრივი ექსპორტი	2,008	2,226	2 324	2 408	3 127	3 704.2
ზრდა%	24%	11%	4%	4%	30%	18%

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2022 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 806.4 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (2 487.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 862.8 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2022 წლის ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველოს ექსპორტი

2022 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (736.8 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (672.6 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (651.6 მლნ. აშშ დოლარი).



2022 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 1 024.3 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 18.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 903.8 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 16.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 459.8 მლნ. აშშ დოლარით (8.2 პროცენტი).



საქართველოს **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის ექსპორტი 11%-ით გაიზარდა და 1 262 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 40%-ით და 4 331 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი 58.0 აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 75%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ერაყი 54% (ზრდა 169%), აზერბაიჯანი 40% (ზრდა 36%), იორდანია 3% (2021 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ეგვიპტე 2% (კლება 81%)

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 82.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 42%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (ზრდა 52%), სომხეთი 16% (ზრდა 171%), აზერბაიჯანი 13% (ზრდა 19%), ყაზახეთი 7% (ზრდა 70%).

ღვინო - ექსპორტი 252.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 6%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 64% (ზრდა 23%), პოლონეთი 6% (ზრდა 5%), უკრაინა 5% (კლება 46%), ჩინეთი 5% (კლება 23%),

ხილ-ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 15.5 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 30%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 23% (ზრდა 45%), გერმანია 23% (ზრდა 32%), აშშ 18% (ზრდა 43%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 1 024 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 26%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 57% (ზრდა 17%), ბულგარეთი 39% (ზრდა 66%), ესპანეთი 4% (კლება 50%).

ელექტროენერგია - 84.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 436%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 94% (ზრდა 10-ჯერ), სომხეთი 5% (კლება 41%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 281.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 135%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 53% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ინდოეთი 11% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), განა 7% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), რუმინეთი 6% (კლება 46%), უკრაინა 5% (კლება 66%), მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა შემდეგ ქვეყნებში: ბრაზილია, საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, მაროკო, სინგაპური, ესპანეთი, ტუნისი, გ/სამეფო (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ ქვეყნებში ექსპორტი განხორციელდა ჯამურად 31.7 მლნ აშშ დოლარის მოცულობის).

არმატურა - ექსპორტი 17.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 120%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 73% (ზრდა 271%), ბულგარეთი 11% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), აზერბაიჯანი 9% (კლება 44%).

სიგარეტები - ექსპორტი 62.0 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 111%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი 67% (წინა წელს განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), უზბეკეთი 20% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), რუსეთი 10% (კლება 57%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 903.8 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 98%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 34% (ზრდა 24%), სომხეთი 16% (ზრდა 23-ჯერ), უკრაინა 13% (ზრდა 36%), ყაზახეთი 12% (ზრდა 345%).

ოქრო - ექსპორტი 81.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 27%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 94% (ზრდა 25%), გერმანია 3% (ზრდა 70%).

ტრიკოტაჟის ნაწარმი - ექსპორტი 75.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 18%). ექსპორტის 97% განხორციელდა თურქეთში.

მედიკამენტები - ექსპორტი 109.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 52% (ზრდა 23%), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 26%), სომხეთი 8% (ზრდა 6%), ყირგიზეთი 4% (კლება 15%).

ძვირფასი ლითონის მადნები - 84.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 92%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 96% (ზრდა 84%), ბულგარეთი 4% და სინგაპური 1% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ ქვეყნებში ექსპორტი არ განხორციელებულა).

სამედიცინო და ვეტ ხელსაწყოები - ექსპორტი 42.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 14%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 51% (ზრდა 2%), რუსეთი 6% (ზრდა 11%), გერმანია 5% (ზრდა 2%).

საქართველოს ექსპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

კარტოფილი - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 69%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 57% (კლება 79%), აზერბაიჯანი 34% (ზრდა 28%), სომხეთი 8% (ზრდა 197%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 112.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 21%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 45% (კლება 16%), ყაზახეთი 21% (ზრდა 89%), უკრაინა 8% (კლება 64%), ლიეტუვა 6% (კლება 65%).

ცოცხალი ცხვარი - ექსპორტი 22.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 56% (ზრდა 123%), საუდის არაბეთი 25% (კლება 69%), ა.გ საამიროები 7% (ზრდა 8-ჯერ), ეგვიპტე 6% და იორდანია 4% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ ქვეყნებში ექსპორტი არ განხორციელებულა).

თხილი - ექსპორტი 102.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 13%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 29% (კლება 6%), გერმანია 22% (კლება 15%), სომხეთი 9% (ზრდა 9%), ესპანეთი 5% (ზრდა 16%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 148.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 38% (ზრდა 38%), უკრაინა 16% (კლება 45%), ბელარუსი 7% (ზრდა 23%), საფრანგეთი 7% (კლება 16%).

ფეროშენადნობი - ექსპორტი 460 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აშშ 51% (ზრდა 35%), რუსეთი 24% (კლება 37%), თურქეთი 13% (ზრდა 20%), იტალია 4% (ზრდა 70%).

შავი ლითონის ჯართი - ექსპორტი 17.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 57%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 90% (კლება 59%), ნიდერლანდები 6% (კლება 51%).

საქართველოს იმპორტი

2022 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 370.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 835.4 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 126.0 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2022 წლის იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2022 წელს წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 1 618.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 12.0 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 1 336.4 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 9.9 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 775.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5.8 პროცენტი).



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 37% გაიზარდა და 1 851 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** 33% გაიზარდა და 11 598 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

თევზი გაყინული - 35.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 59%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ნორვეგია 19% (ზრდა 116%), აშშ 14% (ზრდა 122%), ისლანდია 10% (ზრდა 40%).

ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული - იმპორტი 93.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 47%). იმპორტიორი ქვეყნები: თურქეთი 21% (ზრდა 12%), ბრაზილია 20% (ზრდა 33%), ჩინეთი 14% (ზრდა 175%), აშშ 8% (ზრდა 171%).

ღორის ხორცი გაყინული - იმპორტი 44.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 24%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 78% (ზრდა 77%), კანადა 8% (კლება 32%), ესპანეთი 3% (6%).

ხორბლის ფქვილი - 68.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5-ჯერ). იმპორტის 98% განხორციელდა რუსეთიდან.

ნაღების კარაქი - 33 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 26%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 21% (ზრდა 61%), ურუგვაი 20% (ზრდა 87%), პარაგვაი 16% (ზრდა 9-ჯერ), ფინეთი 8% (ზრდა 7%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი გაყინული - 16.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3%). იმპორტიორი ქვეყნებია: ლიეტუვა 28% (ზრდა 11%), ბრაზილია 24% (ზრდა 43%), პოლონეთი 17% (ზრდა 4-ჯერ), უკრაინა 26% (კლება 43%).

მანგანუმის მადნები - 30.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 74%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: გაბონი 85% (ზრდა 179%), თურქეთი 7% (ზრდა 2%), საფრანგეთი 7% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა).

მსუბუქი ავტომობილები - 1 619 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 73%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 51% (ზრდა 48%), იაპონია 17% (ზრდა 69%), გერმანია 11% (ზრდა 116%), თურქეთი 7% (ზრდა 5-ჯერ).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 1 336 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 62%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 47% (ზრდა 4-ჯერ), რუმინეთი 19% (ზრდა 88%), თურქმენეთი 12% (კლება 17%), ბულგარეთი 9% (ზრდა 1%).

არმატურა - 118.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 60%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 42% (ზრდა 61%), რუსეთი 30% (ზრდა 12-ჯერ), ირანი 17% (ზრდა 4-ჯერ), თურქეთი 10% (კლება 35%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 775.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 52% (ზრდა 17%), ჩილე 18% (ზრდა 3%), ინდონეზია 11% (კლება 38%), სერბეთი 9% (ზრდა 194%).

ნავთობის აირები - 461 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 31%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 76% (ზრდა 39%), რუსეთი 24% (კლება 24%).

სამკურნალო საშუალებები - 404 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 6%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 18% (ზრდა 58%), გერმანია 10% (კლება 21%), შვეიცარია 8% (ზრდა 68%), საფრანგეთი 8% (კლება 0.3%).

სატელეფონო აპარატები - 323.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 43%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები 48% (ზრდა 104%), ჩეხეთი 14% (ზრდა 80%), ჰონგ-კონგი 10% (კლება 43%), ჩინეთი 6% (ზრდა 154%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე

ხორბალი - 64.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 31%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 95% (კლება 29%), ყაზახეთი 2% (ზრდა 123%), უკრაინა (კლება100% 2021 წელს იყო 4.6 მლნ აშშ დოლარი).

ელექტროენერგია - 41.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 14%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 51% (კლება 78%), სომხეთი 25% (2021 წელს იმპორტი არ განხორციელებულა), აზერბაიჯანი 24% (კლება 67%), 2022 წელს თურქეთიდან იმპორტი არ განხორციელებულა (2021 - 7 მლნ აშშ დოლარი).

მცენარეული ზეთი - 47.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 1%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 87% (კლება 0.5%), აზერბაიჯანი 8% (კლება 3%).

რეგიონალური ვაჭრობა





საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 29%-ით გაიზარდა, 3 912 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა **(2021 - 21%)**. **ექსპორტი** გაიზარდა 20%-ით, 863 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15% შეადგინა (**2021-17%). იმპორტი** ევროკავშირიდან 32%-ით გაიზარდა და 3 049 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 23% დაიკავა **(2021–23%).**

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 16%-ით გაიზარდა, 741 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში **საქართველოს** მთლიანი ექსპორტის 86% დაიკავა.

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი შემცირდა 4%-ით და 173.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პროდუქცია გაიზარდა 28%-ით და 690 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

ღვინო - ექსპორტი 30.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 47% (ზრდა 5%), ლატვია 14% (კლება 4%), გერმანია 11% (ზრდა 3%), ლიეტუვა 7% (კლება 5%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 23.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 14%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 40% (კლება 16%), ნიდერლანდები 14% (ზრდა 19%), ლატვია 12% (ზრდა 40%), ესპანეთი 12% (ზრდა 6-ჯერ).

ხილის ჩირი - ექსპორტი 3.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 83%). ექსპორტის 95% განხორციელდა გერმანიაში (ზრდა 112%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 30.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 43%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბელგია 82% (ზრდა 42%), გერმანია 7% (ზრდა 111%), რუმინეთი 4% (ზრდა 57%).

ტომრები და პაკეტები შესაფუთი - ექსპორტი 8.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 77%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 57% (ზრდა 156%), ჩეხეთი 12% (ზრდა 98%), ბულგარეთი 10% (კლება 43%), შვედეთი 9% (ზრდა 5-ჯერ)

ფეროშენადნობი - ექსპორტი 26.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 69% (ზრდა 70%), ესპანეთი 13% (კლება 36%), საფრანგეთი 12% (ზრდა 49%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 438 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 39%). ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში 92% (ზრდა 66%), ესპანეთში 9% (კლება 50%).

ტანსაცმლის თარგები - ექსპორტი 17.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 169%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 53% (ზრდა 192%), გერმანია 13% (ზრდა 142%), ბელგია 12% (ზრდა 113%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 177%).

სპილენძის ჯართი - ექსპორტი 7.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 188%). ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში 62% (ზრდა 315%), ლიეტუვაში 18% (წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), გერმანიაში 10% (ზრდა 281%).

ხილ-ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 4.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 19%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 85% (ზრდა 32%), საბერძნეთი 8% (ზრდა 5%).

სატელეფონო აპარატები - ექსპორტი 4.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 10-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბულგარეთი 76% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ნიდერლანდები 12% (წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), უნგრეთი 4% (ზრდა 3-ჯერ).

ძრავები და აირები ტურბინების - ექსპორტი 4.0 მლნ. აშშ დოლარი. ჩეხეთი 70%, უნგრეთი 28%, წინა წელს აღნიშნული პოზიციის ექსპორტი საქართველოდან არ განხორციელებულა.

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

მინერალური წყალი - ექსპორტი 9.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 53%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 68% (კლება 65%), გერმანია 13% (ზრდა 41%), ლატვია 10% (წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით),

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 7.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 31% (კლება 52%), იტალია 16% (წინა წელს განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), საფრანგეთი 12% (ზრდა 29%), ჩეხეთი 11% (ზრდა 90%),

თხილი - ექსპორტი 74.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 8%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: იტალია 40% (კლება 6%), გერმანია 30% (კლება 15%), ესპანეთი 7% (ზრდა 16%), საფრანგეთი 5% (ზრდა 18%), პოლონეთი 5% (ზრდა 39%).

ცხოველების სახლები - ექსპორტი 0.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 95%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 48% (კლება 94%), ბელგია 28% (კლება 92%).

ძვირფასი ლითონის ჯართი - ექსპორტი 10.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 45%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 73% (კლება 50%), იტალია 16% (კლება 49%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 18.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 61%). ექსპორტი განხორციელდა რუმინეთში 89% (კლება 46%), ბულგარეთში 11% (კლება 54%).

კოსმეტიკური საშუალებები - ექსპორტი 8.1 მლნ.აშშ დოლარი (ზრდა 60%). ექსპორტი განხორციელდა ნიდერლანდებში 57% (ზრდა 1%), დანიაში 31% (ზრდა 9-ჯერ), ლიეტუვაში 5% (ზრდა 215%).

საბურავები და რეზინის პნევმატური სალტეები - ექსპორტი 8.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 58%). ექსპორტი განხორციელდა პოლონეთში 42% (ზრდა 182%), ნიდერლანდებში 23% (კლება 8%), ირლანდიში 19% (ზრდა 17%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 37%-ით გაიზარდა და 404 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 31%-ით და 2 645 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

შაქარი - იმპორტი 19.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 47%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 63% (ზრდა 19%), საფრანგეთი 27% (ზრდა 429%), ნიდერლანდები 10% (ზრდა 214%).

საკვები ინგრედიენტები - იმპორტი 27.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 25% (ზრდა 22%), პოლონეთი 16% (ზრდა 61%), იტალია 14% (ზრდა 29%), ნიდერლანდები 6% (კლება 25%).

ძეხვი და ხორცპროდუქტები - იმპორტი 5.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 45%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 44% (ზრდა 22%), ესპანეთი 24% (ზრდა 75%), პოლონეთი 11% (ზრდა 146%).

ფრინველის ხორცი - იმპორტი 23.8 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 44%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ნიდერლანდები 33% (ზრდა 57%), გერმანია 31% (ზრდა 101%), პოლონეთი 13% (ზრდა 5-ჯერ), საფრანგეთი 6% (კლება 47%).

კარაქი - იმპორტი 13.0 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 27%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 52% (ზრდა 61%), ფინეთი 21% (ზრდა 7%), დანია 7% (ზრდა 60%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 440.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 41%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 57% (ზრდა 88%), ბულგარეთი 26% (ზრდა 1%), საბერძნეთი 10% (ზრდა 61%), გერმანია 4% (ზრდა 85%).

ცხოველის საკვები - იმპორტი 25.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 39%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ესპანეთი 18% (ზრდა 24%), პოლონეთი 12% (ზრდა 22%), გერმანია 11% (ზრდა 41%), იტალია 11% (ზრდა 75%), პორტუგალია 10% (ზრდა 135%).

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 280 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 109%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 64% (ზრდა 116%), ბელგია 7% (ზრდა 146%), ჩეხეთი 5% (ზრდა 81%), პოლონეთი 5% (ზრდა 65%), საფრანგეთი 4% (ზრდა 162%).

ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში - იმპორტი 38.4 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 29%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 77% (ზრდა 34%), ირლანდია 13% (ზრდა 25%), გერმანია 9% (ზრდა 8%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

ლაბორატორიული რეაგენტები - იმპორტი 15.9 მლნ აშშ დოლარი (კლება 38%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 43% (კლება 41%), ნიდერლანდები 15% (კლება 68%), საფრანგეთი 13% (კლება 30%), იტალია 11% (ზრდა 23%).
სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 205.5 მლნ აშშ დოლარი (კლება 8%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 20% (კლება 21%), საფრანგეთი 15% (კლება 1%), უნგრეთი 15% (კლება 18%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

2022 წელს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 32%-ით გაიზარდა, 6 405 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 34% დაიკავა (2021- 34%). ექსპორტი გაიზარდა 33%-ით, 2 693 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 48% შეადგინა (2021-48%). იმპორტი გაიზარდა 32%-ით და 3 712 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა (2021–28%).

დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტი 1%-ით შემცირდა 1104 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 43% დაიკავა.

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 16%-ით გაიზარდა და 915 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტი 44%-ით გაიზარდა და 1 778 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 73.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 47%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 54% (ზრდა 52%), სომხეთი 19% (ზრდა 171%), აზერბაიჯანი 14% (ზრდა 19%), ყაზახეთი 7% (ზრდა 70%).

თევზის ფქვილი - 10.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 82%). საექსპორტო ბაზრები სომხეთი 70% (ზრდა 31%), ბელარუსი 28% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

კურკოვანი ხილი - ექსპორტი 36.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 93% (ზრდა 29%), სომხეთი 4% (კლება 66%).

ღვინო - ექსპორტი 195 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 82% (ზრდა 23%), უკრაინა 6% (კლება 46%), ყაზახეთი 5% (ზრდა 4%), ბელარუსი 4% (კლება 31%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 853.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 104%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 36% (ზრდა 24%), უკრაინა 14% (ზრდა 36%), სომხეთი 17% (20-ჯერ), ყაზახეთი 12% (ზრდა 3-ჯერ),

სიგარეტები - ექსპორტი 59.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 140%). საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი 70% (წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), რუსეთი 10% (კლება 57%),

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი 23.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 39%). საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 98% (ზრდა 36%), სომხეთი 2% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

ფეროშენადნობი - ექსპორტი 133.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 30%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 81% (კლება 37%), აზერბაიჯანი 9% (ზრდა 29%), უკრაინა 6% (ზრდა 59%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 26.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 44%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უკრაინა 50% (კლება 66%), სომხეთი 47% (ზრდა 107%), აზერბაიჯანი 3% (კლება 73%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 99.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 15%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 51% (კლება 16%), ყაზახეთი 24% (ზრდა 89%), უკრაინა 10% (კლება 64%), ბელარუსი 6% (კლება 30%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 107.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 53% (ზრდა 38%), უკრაინა 22% (კლება 45%), ბელარუსი 10% (ზრდა 23%).

თხილი - ექსპორტი 18.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 22%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 48% (ზრდა 9%), რუსეთი 20% (კლება 36%), ბელარუსი 14% (კლება 33%), უკრაინა 6% (კლება 54%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 19%-ით გაიზრდა და 782.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 36%-ით გაიზარდა და 2 930 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

საკონდიტრო ნაწარმი - იმპორტი 47.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 69% (ზრდა 26%), უკრაინა 22% (კლება 8%), სომხეთი 3% (ზრდა 23%).

ხორბლის ფქვილი - იმპორტი 66.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4-ჯერ). იმპორტიორი ქვეყნა რუსეთი.

ბუნებრივი აირი - იმპორტი 461.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35%) იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 76% (ზრდა 39%), რუსეთი 22% (ზრდა 24%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 839.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 83%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 74% (ზრდა 361%), თურქმენეთი 19% (კლება 17%), აზერბაიჯანი 6% (კლება 60%).

არმატურა - იმპორტი 87.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 67%). იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 57% (ზრდა 61%), რუსეთი 41% (ზრდა 12-ჯერ), უკრაინა 2% (კლება 90%).

დსთ-სთან ვაჭრობა უკრაინის ჩათვლით

	ექსპორტი			იმპორტი		
	2021	**2022**	**ზრდა**	**2021**	**2022**	**ზრდა**
დსთ-ს ქვეყნები	**2,020,770**	**2,693,209**	33%	**2,815,311**	**3,713,302**	32%
აზერბაიჯანი	531,725	672,628	26%	598,391	642,078	7%
ბელარუსი	59,426	56,504	-5%	52,138	80,651	55%
თურქმენეთი	11,145	18,572	67%	205,457	167,996	-18%
მოლდოვა	19,845	12,882	-35%	14,278	9,296	-35%
რუსეთი	610,060	651,628	7%	1,023,182	1,835,412	79%
სომხეთი	256,116	584,580	128%	418,430	613,190	47%
ტაჯიკეთი	12,477	22,617	81%	53	304	472%
უზბეკეთი	85,639	111,103	30%	28,991	49,009	69%
უკრაინა	307,436	232,078	-25%	451,827	274,890	-39%
ყაზახეთი	96,182	238,173	148%	20,154	36,391	81%
ყირგიზეთი	30,720	92,444	201%	2,410	4,084	69%

დსთ-ს თან ვაჭრობა გარდა უკრაინისა

2022 წელს **უკრაინის გარდა დსთ-თან სავაჭრო ბრუნვამ** 5 899.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და 45%-ით გაიზარდა (დსთ-სთან ბრუნვა უკრაინის ჩათვლით 32%-ით გაიზარდა, 6 407 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა). **ექსპორტი გაიზარდა** 44%-ით და 2 461 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა (დსთ-ს ექსპორტი უკრაინის ჩათვლით გაიზარდა 33%-ით, 2 693 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა). **იმპორტმა** 3 438 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 45%-ით გაიზარდა (დსთ-ს იმპორტი უკრაინის ჩათვლით 32%-ით გაიზარდა და 3 713 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა).

2022 წელს **უკრაინასთან სავაჭრო ბრუნვამ** 507 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და 33%-ით შემცირდა. ექსპორტი 232 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა და 25%-ით შემცირდა. იმპორტმა კი 275 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 39%-ით შემცირდა.